


№ 5-22



# ნამდვილი



საქართველო  
საქონალი

1908

მცირე

ფლავანთათვის.

ივლისი

## შინაარსი

- I—მერცხალი და ბავშვები.—(ლექსი) აკაკისა . . . . . 3
- II—გულადი ბიჭები მარწყვზე.— ი. ევლოშვილისა . . . . . 5
- III—რა გვიამბო დედამ.—(თარგმანი) თავი XV ქადაგდი.  
ან. ამილახვრისა . . . . . 9
- IV—მეფე კეთილ-ზნინი.—ზღაპარი (რუსული) კ. თ—სა . . . . . 12
- V—მარტორქა.—(ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა . . . . . 16
- VI—თავუნას მწუხარება და სიხარული.—(ვაგნერიდან) დ.  
ყიფიანისა . . . . . 19
- VII—ანდაზები და გამოცანები:—ა) ანაგრამა,—ბ) გამო-  
ცანები,—გ) რებუსები და აღსნა . . . . . 23

899.962.1(05)

5-22



ფილიალი №-IV.

№ 14

ივლისი 1908 წ.



ქაღალის №  
 თამარს 872  
 კანკალი 1448  
 წიგნი №  
 ანაბ. № 893

## შინაარსი

I—მერცხალი და ბავშვები.—(ლექია) აკაკისა . . . . .	3
II—გულადი ბიჭები მარწყვზე.— ი. უვდოშვილისა . . . . .	5
III—რა გვიამბო დედამ.—(თარგმანი) თაფი XV ქალაქი. ან. ამილახვრისა . . . . .	9
IV—მეფე კეთილ-ზნიანი.—ზღაპარი (რუსული) კ. თ—ისა . . . . .	12
V—მარტორქა.—(ვაგნერისა) დ. ეიფანისა . . . . .	16
VI—თაგუნას მწუხარება და სიხარული.—(ვაგნერისა) დ. ეიფანისა . . . . .	19
VII—ანდაზები და გამოცანები:—ა) ანაგრამა,—ბ) გამო- ცანები,—გ) რებუსები და აღსნა . . . . .	23



## გერცხალი და გავუპები

გერცხალო! შენმა ჭიკჭიკმა  
ძოელი საფხული გვასაჩა!...  
ახლა რომ ძიჭურენ, სად მიხვალ,  
და ჩვენთან რჩები აღარა?

ეუბნებოდნენ ბავშვები  
შემოდგომისას გერცხალსა  
და გულ-დაწვევით უმწურდნენ,  
არ ამორებდნენ მას თვალსა.

მათ სანასუხოდ გერცხალმაც  
ჩაიჭიკჭიკა კვენსითა:

„თქვენს მოძორებას მეც ვსწუსვარ  
ჩემ შესაფერის წესითა.

ვსტოვებ სამშობლო ქვეყანას,  
მაგრამ რა ჩემი ბრალა,  
როცა სიცოფე მაძინებს!..  
ზამთარი მოძავალია.

თანდათანა ვგრძნობ სიგრილეს,  
ძალ-ღონე შემომქვია

ახლა კი შეც გუნდს მიუყვები  
ძორი გ'სით მიძვალდით,  
და დამილოცეთ მამ ეველამ  
მიძვალს გ'სა და კვალთა“!

ეს სთქვა და შეინაზარდა,  
ფრთები გაშალა ძაღლები  
და გულ-დაწვევით ბავშვებმაც  
თან გაბუღლეს თვალები.


აკაკი





## გულადი ბიჭები

### მარწყვზე



ბიჭებო, მოდიტ და სვალე მარწყვზე წავიდეთ!  
და ევირა უცებ სანდრომ, როდესაც საღამოს  
ხანსე ბურთაობით დაღლილ-დაქანცულნი  
მწვანეზე წამოწოლილნი ვისვენებდით.

— ეჭე, ეკ კარგი მოიგონე, ბიჭო, — ასევე აღტაცებით  
უპასუხა გიგლამ, წამოხტა ზეზე, ტაში შემოჰკრა და შეპრო-  
წიალდა.

დანარჩენებმაც თანხმობა გამოუცხადეთ. მაგრამ ერთში ვერ  
შვეთანხმდით: ზოგი ამტკიცებდა, — ჩვენი სოფლის ახლოს  
ჯაგ-ბუჩქნარში არის კარგი მარწყვიო, ზოგი-კი სოფლიდან  
უფრო მოშორებით, დიდი ტეის ჰარებს არსევდა.

— იქ მგელი იცის, ძამია, მგელი, შარშან ჩვენებიანთ ძროხა  
დაგლიჯა იმ ვერანამ, იმან! — შეგვატყობინა შაქრომ.

ამ ამბავმა ეველანი ჩაკვავიქრა, მაგრამ, არავის არ გვინ-  
დოდა ჩვენი შიში გამოგვეთქვა; ჰირი-ით, შაქროს სიტყვა  
ბანსე ავაგდეთ და სიცილი დავაუარეთ. ახლო იქნებოდა თუ  
შორს, ჩვენ მანც გადავსწვიტეთ მარწყვზე წასვლა და ლაპა-  
რაკით დავიმალენით.

დილა ადრისან ეველანი წუაროსთან მოვგროვდით. დავი-  
ბანეთ ჰირი, დავრეცხეთ კალათები და გაუუღვეით გვას. მსე

ჯერ მთას არ ამოსცილებოდა, როდესაც მივედით იმ ადგილს, რომელიც სოფელზე უფრო ახლო იყო და, რომელიც ვეუ-  
ლას ჭკუში დაგვიჯდა, რადგან ძაქროს სიტყვები მგლის შე-  
სახებ არ დაგვაფიქვდა. რამდენსამე წუთს შემოვირბინეთ იქაუ-  
რობა, მაგრამ ისე არ იყო იქ მარწვევი, როგორც ჩემს ხელის  
გულზე. ან რა გაძლებინებდა იქ მარწვევს, როდესაც დილიდამ  
საღამომდე სოფლის თხა და ცხვარი იქაურობას ფენქვება  
სთელავდა.

— აკი გითხარით, ძეძია, რომ აქ მარწვევი არ იქნებო-  
და! — ნიშნის მოგებით გვიანვე დურა გივლამ.

შეიქნა თათბირი. ძაქრო უკან დაბრუნებას გვირჩევდა,  
მაგრამ დაბრუნებული მარწვევი ვეულის თვალეში გველანდებო-  
და და გორცხვენოდა კიდევ შინ ხელცარიელნი დაბრუნე-  
ბულიყავით. მოვიმაგრეთ გული და მივაშურეთ იმ დიდს ტყეს,  
სადაც მარწვევიც გვეგულებოდა და ება დაღრენილი მგელიც.  
მივდიოდით და თან უკან ვიუურებოდით. სოფელი აღარ ჩანდა,  
ზატარა ხანს უკან აღარ ჩანდა ჩვენი სოფლის საედარიც, მი-  
ვედით დიდს ტყესთანაც. გულს ძვარ-ძვარი ეჭქინდა. ვე-  
ლამ ერთმანეთს ძევხედეთ.

— რისა გეძინიანთ, ბიჭებო, აი, მე შევალ და აბა და-  
მაკლოს რამე მკელმა! — გაგვაძხნევა ისევ გივლამ და გულმო-  
მაგრებულმა გასწია წინ.

ჩვენც უკან გავევით... მივედით ტყეში. მივიხედ-მოვი-  
ხედეთ აქეთ-იქით. სეებსაც-კი შევხედეთ. მგელი არსადა ჩან-  
და. ცოტა არ იყოს დავარხენდით და დავუწვეთ მარწვევს ძე-  
ბნა. ტყეში ღრმად მესვლას მანც ვერა ვებდავდით. ან რა  
გვინდოდა იქ, როდესაც ტყის ზირებში, ჩირგვებ შორის მძვე-  
ნიერი, მსხვილი, დამწიფებული მარწვევი დაგვისვდა: აქა-იქ  
ბალახებში წითელ თვლებივით გამოიუერებოდნენ. ცარს თ-  
ვისივე, ზაწია, თეთრი ევაგილები ესვიათ. სოფი ჩიტებს ევენ-

კათ, ზოგიც სიმწიფის გამო დაძმობებული მწვანე, ზრტველ ფოთლებიდან თავდასრილი გამოიეურებოდა.

ჩვენ არც ერთს არ ვიწუნებდით. ერთს, რომ კალათაში ჩავაგდებდით, მეორეს ჰირისკენ ვისროდით.

— რა კარგია, დედიჯან!

— უჭ, უჭ! ისეთია, როგორც თაფლი! ისმოდა ჩირბილების ძირებიდან ამხანაგების სმა.

— მაქრო, აბა თქვენებიანთ ძროხა სად დაგლიჯა ძველმა? დანცინა მაქროს ჩვენში ვეველაზე უფრო კულადმა გიკლამ და ჩვენც გადვინარსარეთ. გადვინარსარეთ, მაგრამ ის ოხერი ძველი ჩვენს თვალებს ძანც არ შორდებოდა.

მზე კარგად წამოსული იყო, როდესაც კალათები ავავსეთ. ჩვენც გავძესით და დავიღბლენით.

— ბიჭებო, დავისვენოთ და მერე შინისკენ გავსწიოთ! — გამოგვიცხნა ბელადმა გიკლამ.

— ჭოდე! დაუგდანტურეთ ვეველამ და წამოგწეკით ხის ჩრდილში.

ჩვენ მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, რა ამბავი ჭქონდათ ჩიტებს ტყეში. მაშვის სტვენა, გუგულის „გუგუ“ და „ბიჭო კაკია“ ერთმანეთში ირეოდა. იღვა ერთი ქრიაშული. ზოგი ერთს ხეზე შეფრთხილდებოდა, ზოგი მეორეზე. ჩვენ თან მარწუვს შევექცეოდით, თან მათ ვუგდებდით უფრო. მაგრამ უცაბე მაქრომ ურები ცქვიტა და მუხლის თავებზე წამოეუნტდა.

— ბიჭებო, აგერ იქ რაღაც სმაურობაა! წავიხურებოდა მან და გაგვიწოდა ხელი ჩვენს ჰირდაჰირ დაბურულს ბუჩქებისკენ.

ვეველამ ურები ვცქვიტეთ და მივანერდით იმ ალაგს. იქიდან მართლაც რაღაც შრიალი მოისმოდა. ბუჩქების კენწერობიც ინძრეოდნენ. კულამ ძვარა-ძგური დაგვიწყო. ვეველას მი-

შის ფერმა გადაგვიკრბა. ხმა თანდათან კვიანხლოვდებოდა, ბუჩქები თანდათან უფრო ძრიელ ინძრეოდნენ. ეჭვი არ იყო, მაქრო არა სტეუოდა. „შეკელი“! გაგვირბინა ეველას გულში, ამ აზრმა. — გავიქცეთ! წავივარდნულ გვიკლამ. შაქრომ ღრიალი ამოუშვა.

კალათებს ხელი ვსტაცეთ და ზეზე წამოვცვივდით. ის იყო უნდა დავძრულიყავით, მაგრამ ამ დროს ბუჩქებიდან გამოვიდა მგელი-კი არა, შაქროს მამა ზურგზე ფიხისი გუდურით.


— რას აკეთებთ აქ, თქვე მოუსვენრებო, თქვენა, შეგვიკითხა ის ხვნეშით და თან ძლივს აცლიდა ბუჩქებს ავიღებულს გუდურას.

— მარწვევი მოვკრიფეთ, — უპასუხა თამამად გვიკლამ. გული ეველას საგულეს ჩაგვივარდა, და სიცილი ავტეხეთ. შაქროს მამასაც ეველაფერი გუამბეთ.

— გულადი ბიჭები ვოფილხართ, გულადი ბიჭები! დავცინა მან და ეველანი ერთად გაუდევით გზას სოფლისაკენ.

ეს ამბავი ჩვენი სოფლის ბიჭებმა მეორე დღესვე შეიტყვეს და მას აქეთ, როცა ჩვენი გაჯავრება უნდათ, გულად ბიჭებს გვიმხიან.

ი. ევლოშვილი





# რა გვიამბო დედა

(თარგმანი)

## XV ქალაღი



დეს ძალიან მომიგვიანდა, სთქვა შესვ-  
ლისათანავე დედამ, რადგანაც ძალაშიდნ  
მოიტანეს საქონელი და უნდა მიმეღო.  
აი მინამ ამ საქრის ჰურებს შესჭამო, მე  
გიაძობობთ რასმე.

— ოჰ, დედა, მე ძალიან მინდა მოგეშეულო! ამას წინად შენ  
ნებე მოგვეცე, გავკერხია სხვა და სხვა ქალაღები შავი, თეთ-  
რი, პრიალა. იცი, დედა, ჩვენ ერთი რამ დაკომზადეთ, დახუჭე  
თვალები და მივიყვანო.

დედამ დახუჭა თვალები და მხოლოდ მაშინ განხილა, რო-  
ცა ბავშვებმა დედოფლების სახლთან მიიყვანეს რომელიც ლა-  
მაზად გავკერათ კედლის ქალაღის ნარჩენებით.

— რა ძვირფასი სახლი გუკეთებია თქვენს გამზდელს, —  
შეაქო დედამ. კედლის ქალაღი სულ სხვაა, ვიდრე ის ქა-  
ლაღი, რომელნიც თქვენ წინად დამისახელებო; კიდევ რანა-  
ირი ქალაღებია არ განსოვო?

— კიდევ არის მელნის საშრობი ქალაღი; მიუგო ნორ-  
მანმა.

— მე ვიცი სასარგებლო ქალაქი, სთქვა ექიმ რომელ-  
სედაც წერილებს ვწერთ. დედაჯან გვიამბე, როგორ კეთდება  
ქალაქი?

— ეგელა ქალაქის ამბავს ვერ გატყუოთ, რადგანაც 60  
სხვა და სხვა კვარი ქალაქია, რომელნიც კეთდება ბაღსიდან,  
ნის ქერქიდან, ნახერსიდან, ბურბუშელიდან, ხავსიდან და დაფ-  
ლეთილ სარეცხიდან. მე საწერ ქალაქზე ვებანებით.

— არა ერთხელ გენახვებთ, გადის მოგროვებს ხოლმე  
ნაკუწებს მიტკლისას და ჩითისას; როგორ გკონიათ, რას უძ-  
ვრება?

— მე ვიცი, წამოიძახა ადამ—ერთ ბოხნაში ანახავს და  
მერე ჰქვიდის. ფულს კი საწულების ეულაბში სდებს. მაგრამ  
ის კი არ ვიცი, ვისთვის არის გამოხადევი ის ნაკუწები.

— მაგისტანა ნაკუწებს ბეგრ სახლებში აგროვებენ და ჰქვი-  
დიან ქალაქის ქარხნებში.

— მე მახსოვს, სთქვა ნორმანმა, კენტში რომ ვიყავით,  
ქალაქის ქარხანა ვხსეთ. ის იყო წულის ჰირას და დიდრონი  
ხაკვამლეები ჰქონდა, მამ იქ გზავნიან გადიან მოგროვილ ნაჭ-  
რებს?


— შიკ რომ შევსულიყავით, ვახავდით ნაჭრების გროვას,  
რომელთა შორის ვეღარ გამოარჩევდი გადიან ნაჭრებს. დედა-  
კაცები არჩევენ ფერად ნაკუწებს და შალისას ცალკე, ჩითისას  
ცალკე აწეობენ მანქანაში, რომელიც ბერტყავს მტვრისაგან.  
მსუკან სდებენ სარეცხ მანქანაში, სადაც ირეცხება და წერი-  
ლად ჰფლეთავს, მანამ სულ არ გაერთდება ცომავეთ. ამ მოძ-  
ბელ ნაჭრებს აწეობენ ქვის აუზებში და ათეთრებენ კირით და  
სოდით. 24 საათის შემდეგ კიდევ რეცხენ და ურევენ მანამ არ  
გათეთრდება და გათხელდება ნაღებივით; თუ ფერადი ქალაქის  
გამოყვანა უნდათ, აი თქვენ რომ მოგივიდეთ დეიდასგან, ამ  
სითხეში ურევენ სხვა და სხვა ფერ წამლებს; ჰირისფერს, მწვა-

ნეს და სს; ამასთან წებოსაც უძერებინან. წებო რომ არ ჰქონდეს, ძელანს შეისვამს, როგორც საშრობი ქაღალდი. კარგად გათქეფილს სითხეს ჩაასხამენ ძავთულის საცრებში, საიდანაც წუალი გადის და სისქე რჩება, რომელსაც კარგად დასტევენ; სატეკს აკრავს ნაბადი. მერე გაატარებენ დიდ ცხელ საჯანდრავ ქვეშ, მაშინ ქაღალდი შრება და ისიპება. ძალიან სასიამოვნო სანახავია, როდესაც ნაღებივით ქაღალდის სითხე ჯანდვრის შემდეგ კარდაიქცევა მძევიერ ქაღალდად. მასუკან მანქანავე სჭრის ქაღალდს, რომელსაც დასტა-დასტა აწობენ, ჰკრავენ და ჯსავნიან ქაღალდის საწუობში, საიდანაც ვიდულობენ ცალკე ძაღასიები.

— დედა, მოიცა პატარა, ჯერ ნუ წახვალ: რამდენ ქაღალდს გააკეთებს დღეში მანქანა, თუ რომ შეუწყვეტილად იმუშავებს?

— ძალიან ბევრს, შვილო, დროა გავათავო, აგერ მამა თქვენიც შეძახის.

ან ამილახვარი





## მეფე კეთილ-ზნიანი

(ზღაპარი რუსულით)

დიდი-ხნის წინაჲ ერთი ქვეყანა იყო, რომელსაც განაკებდა მეფე კეთილ-ზნიანი. მეტად გულგუთილი და მოწყაღე კაცი იყო, ცდილობდა რომ იმის სამეფოში სამართალი ეოფილიყო დაძუარებული; ამიტომ რაც სასამართლოები იყო, ეველა მოსწო, და დამნაშავეთ ძარტო თითონ ასამართლებდა.

სამწუნაროდ მეფეს ერთი მეტად ცუდი სწირდა: თავისი-თავი უცოდველი ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ რაიმე უსამართლობის ჩადენა შეეძლო.

ერთხელ, მკითხავის მოსვლა გაიგო. მოუწოდა და დაუწყო ბაასი.

— მოწყაღეო ხელმწიფეო! თუძცა კეთილი მეფეც ბრძანდები და უევანჯარ კიდეც სალხს, მაგრამ— შეუცდომელი ძარტო ღძერთიან, — ხანდახან უსამართლობა გერევა.

მეფეს ეუცხოვა ეს სიტყვა; გაკვირვებით შესედა მკითხავს და უპასუხა:

— არა, მკითხავო, სცდები. მე ეოველთვის სამართლიანი მეფე ვარ.

— სურც ეგრე! როგორ შეიძლება, ადამიანს შეცდომა არ მოუვიდეს მენ რომ კეთილი ხარ, მაკამი ეჭვი არ არის, ნებ-სითი ბოროტება არა, მაგრამ შეიძლება უნებლიედ მოგივიდეს.

— აგრე რომ ეოფილაუო, აქამდის არავინ მეტეოდა.

— არ მოკასსენებდნენ, ხელმწიფეო: ზოგს ეშინიან შენი წეროძისა, ზოვი მიეზვია შენს შეცდომას და ზოგი-გი გონივრულად სჯის და იძახის: რაკი მეფეს ესრე მეტეიცედ სწამს თავისი უცოდველობა, რად უნდა შევურეოთ რწმენაო?

— ეეჰ, ეკ არაფერი! — ძიუგო მეფემ; — თუნდა მართლაც ჩამედინოს რამე უსამართლობა, ეოველთვის შეიძლება მისი გასწორებაო.

— არა, ბატონო! ეოველთვის არ შეიძლება! ეს-ლა-კი, თუ გნებავს, მანამ დაცვიანებული არ არის, შეასწორე შენი შეცდომები. თუ ინებებ, უჩინარ კაცად გადაგაქცევ; შენ ქვეყანას მოივლი, და შენი ეურიოთ გაიგონებ, რასაც ნაღისი თავის მეფესედ ამბობს. გნებავს?

— ძალიან კარგი!

— ბატონი ბრძანდებით. ოღონდ ჰირობა უნდა დავდოთ: დეჰი მხოლოდ სამ საათს იქნები უჩინარი და, როდესაც მოისურვებ შენი სასიხს მიღებას, სამჯერ იტყვი: „დამნაშავე ვარ“. მაგრამ, თუ ვადას გადააცილებ და თავის დროზე არ იტყვი ამ სიტყვებს, შენს დეჰი სოროცაეღ ადამიანად აღარ იქცევი. სული გედგმის, მხედველობა გექნება, მაგრამ რა გამოვიდა, ეველანთვის მკვდარი იქნები, რადგან არც ლაზარაკი შეგეძლება — და არც მოქმდება. თანხმა ბრძანდებით?

— თანხმა ვარ!

მკითხავი მიუხსლოვდა მეფეს, ხელი შეასო და უცბად მართლა უსილაზად გადაქცია.

ღანიწეო მეფემ ქუჩა-ქუჩა სიარული და ეველგან ეური მასკილად ეჭირა. აგერ ერთ ვიწრო ქუჩაში შეუსვია; წინ ერთი მოხუცი დედაკაცი მიუძღვის და რაღასაც ბუტბუტებს. მეფემ ეური მიუგო.

— მოსმებნე სიმათლეო — იძახიან, სად მოგეძენო? განა მე ვარ დამნაშავე, რომ მოვსუცდი, დავუძღურდი და მუშაობა

ადარ შემიძლიან? ლუკმა ჰურის სათხოვნელად გავედი; დანა-  
 ჭირეს და ცინეში ჩამსვეს—ხალხს ატყუებო, წადი მეფესთან-  
 ნაო—გამიძვირეს ხელი. ვინ მიმიძვებს მეფესთან მე უბე-  
 დურს?!

—საკვირველია სწორედ! მე რა ვქნა, რომ მთხოვარს ჩემ-  
 თან არ უძვებენ! განა ეს ჩემი ბრალა? ხომ არ შემიძლიან  
 მთელი დღე ჭიშკართან ვიჯდე!—გაჯავრდა მეფე და განაგრძო  
 გზა. ერთ სახლის წინ ორი კაცი ლაპარაკობდა:

—აზა, სწორე გითხრა, ჩემს ძმას მეტად უსამართლოდ  
 მოექცა: ერთი ძაღლი ჰყავდა მეფეს, რომელიც გაგიჟებით უფარ-  
 და. ძაღლი მოუკვდა. დაჩინა მეფემ, გინდათ თუ არა, ისე-  
 თი ძაღლი უნდა მიშოვოთ, რომ ჩემ ძაღლში არ ერჩეოდე-  
 სო. ეძებენ ვეზირებმა, ეძებენ და ბოლოს მიაგნეს ჩემი ძმის  
 ძაღლს, რომელიც მართლა საკვირვლად ჰყავდა მეფისას; მა-  
 შინვე მეფესთან წაიყვანეს.

მეფემ სთხოვა, ძაღლი მიეყიდნა, მაგრამ ჩემმა ძმამ მოა-  
 ხსენა:—მე ამ ძაღლმა სიკვდილს გადაძარჩინა და ისე მი-  
 ეჯარს, რომ არ შემიძლიან მისი დამორებაო. მაშინ მეფე გა-  
 ჯავრდა და უთხრა:

—აზა გრცხვენიან, ჰხედავ შენი მეფე როგორ შეწუხე-  
 ბულია და შენ-კი არ გინდა მწუხარება განუქარვოვო?

ჩემმა ძმამ ვეღარ გაბედა მეფესთან კამათი და ძაღლი  
 ორმოცდა ათ მანეთად მისცა. მისცა მაგრამ როცა-კი მოი-  
 გონებს თავის ერთგულ ძაღლს, ცხარე ცრემლითა ტირის.  
 განა ფული მაშინ-კი არ უჭირდა, როცა იმავე ძაღლში ასი  
 მანეთიც აძლიეს და არ მისცა? მაგრამ რა ექნა? მეფემ უბრძანა  
 და უარი როგორ შეეძლო!

—ღირს ერთ ძაღლსედ ლაპარაკი?—იფიქრა მეფემ.

—დღესვე ვუბრძანებ ძაღლის ჰატრონს ასი ოქრო კი-

დეჲ წაუღონ. — გაუღვა გზას. შესვდა ორ ქურდს და დაუგდო  
ეური.

— მითხარ, თუ ღმერთი გწამს, როგორ მთახერხე, რომ  
ცისეში არ ჩავსვს?

— ძალიან ადვილად: დიდი ხანია მე ერთი შესობლის  
ჯავრი მჭირს და მოვიტყევი კიდევ დრო: მოხარული ნივთი  
მივუტყევი, თავი დავისვენ. როდესაც ზატრონებმა ქურდობა გაი-  
ცეს, დაუცურდნენ, დაიწვეს მებნა, ნივთი ჩემს შესობელს უპო-  
ვეს და დაადეს ხელი. ბევრი იფიცა, დანაშაული არა მატყნო, —  
მაგრამ ვიღა დაუჯერებდა! მოჰკვიდეს ხელი და ჩამწვედიეს.  
თითონ მეფემ მიუსაჯა ცისე.

კ. თ.

(დასასრული იქნება)





# მარტორქა

(ვაგნერიანი)



სოვრობდა ოდესღაც მარტორქა; უსარმაზარი, უშნო ტლანქი და მოუსეშავი ცხოველი იყო. ფეხები დაბალი და სქელი ჰქონდა, ცხვირზე ერთი მაგარი, მრუდე რქა ამოსვლოდა. ტვაზი ორი თითის სისქე ჰქონდა და სიმაგრით რკინის ჯავშანს არ ჩამოუვარდებოდა. ზურგზე ფრინვლები ასხდებოდნენ და ნისკარტებით ჰკეპკავდნენ, მაგრამ ის უურსაც არ იბერტედა: მისთვის ფრინვლები იგივე იყო, რაც ჩვენთვის ბუხები. მიწაზე წოლა, წვალში ბანაობა, ხელახლა ხმელეთზე გამოსვლა იმისთვის არაფერი იყო და არცა სწუენდა. ჩაწეებოდა დასავსებულ ჭაობში, ღრმად ჩაფლული კორაობდა და დიდს განცხრომაში იყო.

ირგვლივ ეკლიანი ბუჩქნარი და მჭრელ-ფოთლიანი ლერწამი იზრდებდა, მაგრამ მარტორქას მისი დარდიც არა აქვს! არსეინად დასკეირობს მათ შორის და აინუნშიაც არ მოსდის, ვერც კი გრძნობს, როგორ ერჭობა ეკლები და ჰფხაჭხის მის კანს. აი, მოურიდებლად ღობეც გაარღვია, ბოსტანში გადავიდა და რაც რამ იყო ერთიანად მოსწო. რის შეჭმაც ვერ მოასწრო, დასთელა, დაჯერება.

არც ადამიანის დარდი ჰქონდა მარტორქას, თუმცა ძალიან-კი ერიდებოდა. ადამიანი კი თავის მხრით სულ იმას ფიქრობდა,



როგორ მოვიძიოთ თავიდან ეს უშველებელი ცხოველი. ზოგი ისარს სტეორცნიდა, რომელიც მის კანს ისე არ ეკარებოდა, როგორც ცერცვი კედელს; ზოგი თოფს ესროდა, მაგრამ ტევია შუა კანში უჩერდებოდა; იგი თითქოს ვერც კი ამხნევდა ამას. ხანდახან ძაღლებიც მივარდებოდნენ, კბილებით ღრღნას დაუწყებდნენ, მაგრამ მათი სუსტი კბილები შუა კანამდისაც ვერ ჩაატანდა. ერთხელ მარტორქა ლომს შესვდა. ლომი მძიერი იყო, ჯერ საუსძე არ ეჭმა და ის იყო თავის ბუნაგიდგან გამობრძანდა. როცა მარტორქა დაინახა; მადან აღეძრა, ეკონახანალი მსხვერპლი ვიგდე ხელთაო—და ზირის ჩატკბარუნება მოინდომა. მაგრამ მარტორქა არ შედრკა. აღრიბლებულ ლომს თავისი გრძელი რქა მიუშვირა. იმანაც ასეღდასედა, ეოველი ქსრით დაათვალიერა, გადსწევიტა, რქა ჩემთვის შეტად საშიში არისო, და უკან გაბრუნება არჩია.

და რადგანაც მარტორქას ნებივრობა და ნავარდობა ეოველთვის უსასჯელოდ ჩუკელიდა, ეურადლებას აღარავის აქცევდა, სიფათს არ ერიდებოდა და სწორედ ამან მოულო უბედურს ბოლო.

ერთმა მონადირემ იკვლია ის გზა, რომელსედაც მარტორქა დადიოდა, რადგან ეოველ დღე ამ გზით დასეირნობდა. გზის ზირას ერთი დიდი ხე იზრდებოდა. ამ ხის რამოდენიმე ტოტი გზას კარდიგარდმო გადმოჭყარებოდა. მონადირემ დიდი ქვა მოსძებნა, ხედ გრძელი წვეტიანი რკინა მიამაგრა, რომელსაც ბოლოში ჩანგალი ჰქონდა გაკეთებული. ამ კაუჭიან ქვას მონადირემ გრძელი თოკი მოაბა, ხის ტოტზე გადმოჭკიდა და ქვა ისე ასწია ძაღლა, რომ ზირდაპირ, მარტორქის სასიარულო გზის სკით გაახერა. თოკის მეორე ბოლო გზის კარდიგარდმო გასწიდა, ხეს მიაბა და სახლისაკენ გასწია.


მოვარინი დამე იყო. მარტორქა თავის ჭაობიდან სასეირნოდ გამობრძანდა. ჩვეულებრივი გზით გასწია და გზის

გარდვიგარდში გაჭიმულ თოქსაც შიატანა. აზრბადაცი აზრ მოს-  
ვლია, თუ რისთვის იყო აქ თოქი გაბმული. „კანა ასეთ თოქს  
შეუძლიან რამე დამაკლოს, ამასე უარესიც შემსვედრია, მაგრამ  
უუნებელი დაუჩინილვარ,“ ამბობდა თავისთავად მარტორქა.

უცბად ტრრ!.. თოქი გაწედა... ტკაც! რკინიანი ქვა შირს  
ხამოვარდა და წვეტი ღრმად ჩაერჭო მარტორქის კისერში. იგი  
მკვდარი დაეცა მიწასე.

შორე დღეს მოვიდა მონადირე, მარტორქას ტვალი გააძრო  
და თავისთვის ჩინებული ფარი გაიკეთა.

დ. ყიფიანი



257


მეცნიერებათა  
აკადემია



# თაგუნას მწუხარება

## და სისარული

(ვაგნერიდან)



აგუნა ტეეში ცხოვრობს, ძალიან სის  
ქვეშ სოროში. ეს მისი ცისე-დარბა-  
ზია, სადაც სიცოცხლეს ატარებს და  
ათასწამირი გაჭირებისაგან თავს იუხარავს.

წვიმასავით მოსცვივავა სეებსა, ბუჩქებსა და  
ბალახებიდგან ჩამონახარი თხილი და ათასწამირი თესლი.  
აგერ, საამურად გაძლილ ჩადუნას ქვეშ წამოსკუპებულა წი-  
ნა ფესვებით თხილი დაუჭერია, ბასრი კბილები ნაჭუჭსა  
ღრღნის და გემრიელ, ტკბილ ნოფიერს გულს არსეინად შეექ-  
ცევა.

რა ბედნიერ ცხოვრებაშია?!

მაგრამ ნურც ასე ვიტყვი: სისარულის კარდა დარღა და  
მწუხარებაც ბევრი აქვს.

მელა და თრითინა დაწინწალებენ ტეეში. არც ზღარბაა  
ძალიან შორს. დღისით ჰეარში მერა ტრიალებს და მსხვერმ-  
ლის ხელში ჩაგდებას ცდილობს, ღამე სეებ-ძორის ჩუმად ბუ  
დაფრინავს. მიწის ქვეშ, თავის სოროშიადა კი ვერა გრხობს

თავუნა თავს უშიშრად: იქ მას მისი მტერი მუდო ანუ თხუნელა შესვდება.

თავი საფსულში უფრო განცხრომძია, ვიდრე სამთარში. როდესაც თოვლი ძირს ჩამოცვივულ თხილსა და თესლებს დაჭყარავს, სოლო წინადვე შენახული სანოვაგე უკვე გამოელევა, ჩვენი თავუნა სძირად სიმძალესაც გამოცდის სოლოქსაუბედუროდ ძალე შეშის მქესავებიც გამოხდებიან. ხეს ხესე სწრიან და ძირს აქცევენ. გასაფსულობათ ძირებსაც-კი ამოსთრიან, ცეცხლში შესაკეთებლად მიაქვთ ან და იქვე სწვავენ სახნავ-სათესი მიწის გასაპოხიერებლად, როგორც ჩვენში იტყვიან, ახოს იღებენ. შემდეგ გუთნითა ჭხნავენ, სოლო ფარცხით აფსვიერებენ. ვინ იტყვის, თუ აქ რდესმე ტყე ეოფილა? თავუნას ბინა, საცხოვრებელი დაქცა და მოქალა. მაგრამ ძალე მის ტირილს სიმხიარულე მოჭევა. მუშა ჰურსა სთესავს, თავუნას სუფრას უძლის; ესლა კი აღარ დასწირდება თითო თითოდ მარცვლების მოძებნა, როგორც წინად ტყეში. ამოვიდა ჯეჯილი, თავთავს ისხამს, რომლებიც ურიცხვ მარცვლებისაგან თავს ძირსა ჭხრიან. თავუნაც განცხრომძია: მიირთმევს, რამდენიც სურს. მაგრამ ხანდახან აქაც უბედურება ეწევა: აგერ გაავდრდა, თავსძაბა, წეალს ვეღარ იკავებს ვერც ხავსი, ვერც ხეები. ნიაღვარი მაწაში ჩადის და საწეალ შეშინებულ თავუნას სოროს სრულიად ჭყარავს. გაცივებული და სველი გარედ გამორბის და დარწობას ძლივ-ძლივობით თავს აღწევს.

აი ნამკალიც ატრიალდა ენაში, მოწეული თავთავი მიწასე დაეძვა. მნა მის მიაქვთ. თავუნა სუძად ჩამგრება მნაში

და დატვირთულ ურმებს მიჰყვება. აქ კი მისთვის ისეთი ღონისძიება იმართება, რომელიც სისმარადაც არ მოსხვენება: რამდენიც კინდა, სულა და გულა, საზრდო და სანოვაგე! ჰური, კობო, ვეელი! მაგრამ ამ ნუბართან მასეცა დგას, რომელშიაც უკვე მოჰყოლია მისი გაუქმდარი მეგობარი. ფრთხილობს თაგუნა, რომ სიფათი თავიდან აიცილოს, მაგრამ მოწამლულ საჭმელს კი იშვიათად ასცდება. ეს კიდევ არაფერი: მისი დაუძინებელი მტერი, კატა, სმირად ნადირობს თავგებზე და სავარულ საჭმლით ჰირს იტყვარუნებს. არც ძაღლი დააერიხსეირს, თუ სადმე შეამჩნია. ჰო, საზრდო და სიამოვნება ბევრი მოეძატა თაგუნას, მაგრამ არც სიფათი და უბედურება აკლია!


კაცის ფენის სმაც მოინძა. მოატყუილეს საწვალდი თაგვი! სვრელის შესავალი დაუკეტეს. საცოდავს ხელი სტაცეს. იკბინება, იფსაჩნება, მაგრამ აღარაფერი შველის. „თეთრი თაგვი!“ აღტაცებით ევირიან ბავშვები და... კალიაში შეაგდეს. ეოველდლე თეთრ ჰურსა და რმეს აჭმევენ. აქ კი სიფათი აღარ მოულის: არც ძელა, ბუ, კატა, არც საწამლაგი! აღარ ცდილობს სასამთროდ სანოვაგე შეინახოს; ესლა აღარც სიცივისა და წვიმების ეშინიან.

მკანი, რომ არაფერი უნდა აწუსებდეს, სრულა ბედნიერი უნდა იეოს? ვეელა კარგი, მაგრამ თავის საკუთარი კბილები აწუსებენ, ისინი მაგარს, უკეს საჭმელს თხოულობენ: უბიხოდ, მკტად იზრდებიან, კრმელდებიან. ცოტა რომ მანც წაიფსიკოს, წვერი დაიმოკლოს, იძულებულია თავის მხის რკინის ხიმები ღრღინას და ჰგბინოს. ამასთანავე ამხანაგების სა-

ხვას, მათთან სიამოვნებას მოკლებულია. მოსწუინდა მარტოობა!  
საწუალს შაქრით უმასპინძლდებიან, მისი ჰატარა წრეწუნები-  
კი იატაკ ქვეშ უდგოდ დაწინენ და, ვინ იცის, იქნება სიმ-  
ძლირით სული ამოხდათ!

დ. ყიფიანი





ა ნ ა ზ რ ა მ ა


პირველი — მთისა ნადირო,  
 ლამაზი, მშვენიერი,  
 მაგრამ დიდი და პატარა,  
 იმ სწავლების მტერია...  
 თუ მოჰკლეს, თორემ ცოცხალი,  
 აზვის დაუჭერია.  
 მეორე — ქართლსე მობმული,  
 თავაზიანი ერია.  
 სუთი ასოთი — ორივე  
 წაღმა-უკუღმა სწერია.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ფანდურიც ვარ, ჭიანჭურიც,  
 ჩონგურიცა, თბრიცა  
 ორივე მე შემოუვრება —  
 საფხულიც, სამთარიცა.

კინდ შეწვი და კინდ მოხარშე,  
 კინდ კერიდგან დასძარიო,  
 კინდ გამტკიცე, კინდ განცერი,  
 ის დარჩება, რაც არიო.

რ ე ბ უ ს ე მ ბ ი



ა მ ბ ა რ ა



ა მ ბ

მე-13 №-ში მოთავსებული რეზუსების აღსნა:

- 1) ბავშვს აკვანში სძინავს.—2) შაქარი ტკბილია.
- გამოცანის აღსნა: —ნაწერი.



ყოველ დღიური გაზეთი

# „ამიკანი“

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

## გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„—4 მანეთი.
ერთი თვით	„—90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება“ - ზმ

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის“ რედაქციაში და „იდელის“ სტამბაში (კიკნაძესთან) ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისიდორე კვიციანიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ  
на газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:	Съ пересылкой въ другіе города
на годъ . . . . 6 руб.—коп	на годъ . . . . . 8 руб.—коп
на полгода . . . 3 руб. 50 ко	на полгода . . . . 4 руб. 50 коп

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлисѣ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.



# მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საქმასწავლებლო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემიები:** 1-ლი, „1908 წლის კელის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი მნ წიგნისა რჩება ისევე მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.